

# ԳՈՂՈՒՄ

№5, 2017





მზია ჩხატიანი

## მოვირა წვიმა

ჩემს ფანჯარასთან ამლერდა წვიმა,  
წვიმა, წკრიალა  
და თვალციმციმა,  
იასამნებზე, ვარდის ფურცლებზე  
ჩამოიღვარა და გამიცინა.  
იქით გვირილებს  
დაჰბანა პირი,  
აქეთ – ღიღილოს, თვალეფოფინას,  
მოვიდა წვიმა,  
მაისის წვიმა  
და დედამინა მადლით მოჰფინა.

ლია კოხალაძე

## მაისი მობრძანებყრა

მიდამო გადაპენტილა,  
მზის სითბო მოძალებულა,  
ფეხბედნიერად, კეთილად  
მაისი მობრძანებულა.  
მეგზურად აურჩევია  
სიო ანცი და ჩურჩულა  
და, როგორც მაისს სჩვევია,  
ლამაზად გადაფურჩქნულა.

ზოია ვაშაკიძე

## მაისის ძირა

ბალში ვარდის ფურცლობაა...  
წითლად ღვივის აისი...  
შუქი დამდის გულამდე და  
გულის ფეთქვის ხმა ისმის...  
ნიავეს მივაყურადე და...  
წყაროს მივაყურადე და...  
ჩიტებს მივაყურადე და...  
ყველამ მითხრა თავისი.  
ჩემი ჭიამაიკელა  
ხელის გულზე დავისვი...  
ღიმილს მზის და ღიმილს მთვარის  
თბილ სხივებად ცა ისვრის...  
ღელე მღერის, ბალი მღერის...  
გული ტკბება ხალისით.  
როგორ შვენის ჩემს ტკბილ მამულს  
ტურფა დილა მაისის...

მხატვარი  
ლიკა გურგენიშვილი



# ნიკას მზე

ექვსი წლის ნიკამ სამთვლიანი ველოსიპედი გააჩერა და მზერა მცხუნვარე მზეს გაუსწორა. მეორე სართულის აივნის სვეტზე ჩამოკიდებულ გალიაში ჩიტი აჭიკჭიკდა. ნიკამ ცრემლიანი თვალები ხელისგულით მოისრისა, გალიას ახედა და აივანზე მდგარ პატარა გოგონას გაუღიმა. ალაცაფის კარში, ასე, ცამეტი წლის ბიჭი შემოვიდა, ბურთი ასფალტზე გააგორა, გაოფლილი მაისური გაიძრო და წყლის ონკანი მოუშვა.

– დიტო, ფეხბურთი ითამაშე? – ნიკა ველოსიპედიდან გადმოვიდა.

– ხო, მოვიგე, – დიტომ სახეზე წყალი შეისხა, მერე ბეჭები და მკერდი დაისველა. – სახურავზე ავალ და მზეზე გავშრები.

– დიტო!

– რა გინდა?

– მზე ღამით სად მიდის?

– მზე?.. მზეს... მთვარე ყლაპავს.

– მთვარე?

– ჰო, მთვარე. მთვარესაც უნდა, რომ ანათებდეს და იმიტომ, მაგრამ სიცხეს დიდხანს ვერ უძლებს, მზეს უკან ამოაგდებს ხოლმე და სწორედ მაშინ თენდება.

– თუ ყოველდამ ყლაპავს, მზე რატომ არ ფრთხილობს?

დიტო დაფიქრდა, სველი თმა მოიქექა და უპასუხა:

– მზე ყველაზე კეთილია, იმდენად კეთილი, რომ გათავისუფლებულს ყველაფერი ავიწყდება, – მერე მაისური მხარზე გადაიკიდა და ხის კიბეს სირბილით აუყვა.


დანადვლიანებული ნიკა ველოსიპედზე ჩამოჯდა. ღიად დატოვებულ წყლის ონკანს ბელურები მიესივნენ.

– ყურადღება, ყურადღება! ახლა საცირკო ნომერს გიჩვენებთ. ვისაც სუსტი გული გაქვთ, გთხოვთ, ეზო დატოვოთ! – სახურავის კიდეზე მდგარ დიტოს ხელში დიდი კატა ეჭირა. შეშინებული ცხოველი საბრალოდ ჩხაოდა.

ნიკა ველოსიპედიდან წამოდგა: იქვე, ალვის ხეზე გასუსულ ათიოდე წლის ბუთხუზა ბიჭს ყელზე ნამცხვრის მოზრდილი ლუკმა დაადგა. დიტომ კატას ხელი გაუშვა. აივანზე გოგონამ შეჭკივლა. კატა ასფალტზე მშვიდობიანად დაეცა და დაფეთებული საკუჭნაოში შევარდა. დიტომ გულიანად გაიცინა, მაისური სატელიტურ თეფშზე გადაკიდა და თუნუქის სახურავზე არხეინად წამოწვა. ალვის ხიდან ბუთხუზა გოჩამ დიტოს უკმაყოფილოდ გასძახა:

– არ შეგეცოდა? რომ დამტვრეულიყო?

– სულელო, კატას რა დაამტვრევს, ცხრა სული აქვს, – დიტომ შარვლის ჯიბეში ჩარჩენილი მზესუმზირა გაკვნიტა. – აი, შენ კი, ახლა ხიდან რომ ჩამოვარდე, საზამთროსავით გასკდები.





– შენ კიდე, სახურავიდან რომ გადმოვარდე, უარესი მოგივა.

– მე არ გადმოვვარდები.

– ვითომ რატომ?

– იმიტომ, რომ ნამცხვარს შენსავით მაღულად არ ვჭამ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ნიკამ ბურთს ფეხი გაჰკრა და სახურავისკენ აიხედა.

– დიტო!

– რა გინდა?

– მანდედან მზე ახლოა?

– ისე რა.

– მზე უნდა გავაფრთხილო, მთვარემ არ გადაყლაპოს.

– არაფერი გამოვა, მაინც გადაყლაპავს.

– გოჩა! – ახლა ბუთხუზა ბიჭს ასძახა ნიკამ.

– რა იყო?

– კენწეროზე ადი, მზესთან რაღაც უნდა დაგაბარო.

– მამა დამინახავს და მეჩხუბება.

– აძრომის გეშინია?! – დამცინავად გამოსძახა დიტომ.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ბიჭმა ზანტად და გაუბედავად დაიწყო ხის კენწეროსკენ ასვლა.

– მალლა, კიდე უფრო მალლა! – აღტაცებით ყვიროდა ნიკა.

გოჩა ხეს კენწეროზე მოექცა და ის-ის იყო, ნიკას მზისთვის გადასაცემი სიტყვები უნდა ეთქვა, რომ გოჩამ ღრიალი მორთო. სიმალლით შეშინებული ბიჭი ხეს ჩაფრენოდა. გოჩას მამამ კიბე თავპირისმტვრევით ჩამოიბინა და ხეზე ავიდა. მეზობლებიც მოცვივდნენ, აცახცახებული ბიჭი ძლივს ჩამოიყვანეს.

– კინალამ მართლა საზამთროსავით გასკდა, – დიტო შინისკენ წავიდა.

– დიტო!

– რა გინდა?

– ხო მომატყუე მთვარე მზეს ყლაპავსო?

– რა გამიჭირე საქმე შენი მზით.

– მითხარი, ხო მომატყუე.

– არა, მართალი გითხარი. მალე დაინახავ, აგერ, იმ მთის უკან ჩასაფრებული მთვარე მზეს როგორ გადაყლაპავს.

ნიკა ერთხანს ჩაფიქრდა და შინისაკენ – ბაბუა, ბაბუას ძახილით გაიქცა.



– რა იყო, რა გაყვირებს? – უსაყვედურა ბაბუამ.

– გახსოვს, ცაში გასაშვები რომ გამიკეთე?

– ფრანი?

– ჰო, ფრანი.

– მერე?

– გეხვეწები, კიდე გამიკეთე, რა.

– დაღლილი ვარ. მამაშენი მოვა და გაგიკეთებს.

– ძალიან გთხოვ. ფრანს მზესთან წერილი უნდა გავატანო.

– მზესთან?

– ჰო, მზესთან.

კაცმა მაგიდაზე თეთრი ქაღალდი გაშალა, ზედ ცოცხის ორი მსუბუქი ღერო გადააჯვარედინა და წებონასმული გაზეთის ნაკუნებით მიამაგრა. ერთ-ერთ სამკუთხედში სამართავი მოაწყო, მოპირდაპირე ბოლოზე კი ქაღალდის კუდი დაჰკიდა.

– ფრანი მზად არის, – თქვა ბაბუამ. – ახლა წერილი დავანებოთ.

ნიკამ ფურცელი გაუნოდა. კაცმა წერილი წაიკითხა, გაელიმა, შვილიშვილს მოწონების ნიშნად თავი დაუქნია და წერილი ფრანზე დააკრა. ნიკას გაუნაფავი ხელით დაენერა: „მზეო, კეთილო მზეო, ძალიან გთხოვ, მთვარემ არ გადაყლაპოს. იფრთხილე, მთვარე მთის უკან იმალება“.



ბაბუა საკუჭნაოს თავზე ავიდა და ნიკაც აიყვანა. კაცმა პერანგის ჯიბიდან კოჭის ძაფი ამოიღო და ძაფის წვერი სამართავ ნასკვს ჩააბა. ფრანი ნიავმა მსუბუქად აიტაცა და მზისკენ ააცურა. უცებ ბავშვების ალტაცებული შეძახილები გაისმა.

– უფრო შორს გაუშვი, უფრო შორს! – ყვიროდა ნიკა.

– ფრანი შენ დაიჭირე, – კაცმა ბიჭს ძაფის ბოლო მიაწოდა, მაგრამ ნიკას ძაფი ხელიდან გაუსხლტა. ფრანმა წონასწორობა დაკარგა, ჰაერში დიდი წრე მოხაზა, სწრაფად იწყო ვარდნა და ერთმანეთზე მიჯრილ შენობების სახურავებს შორის ჩაიკარგა.

– ბაბუა, ფრანი კიდევ გამიკეთე, რა? – იხვეწებოდა ბიჭი.

– ველარ მოვასწრებთ, სადაც არის, მზე ჩავა, ხვალისთვის იყოს.

მზე მთის ქიმს უახლოვდებოდა.

– ნიკა, მალე მთვარე მზეს გადაყლაპავს, – დიტო ფიცრის გრძელ, უზურგო სკამზე იჯდა და ფეხით ბურთს აწვალებდა.

ნიკა ღელავდა, რალაცის მოფიქრებას ცდილობდა. მერე აივნის სვეტზე დაკიდებულ გალიას ახედა და გოგონას დაუძახა:

– ანა!

აივანზე გოგონა გამოჩნდა.

– ანა, ჩიტი მათხოვე. მზესთან რალაც უნდა დავაბარო.

– კარგი, – გოგონას გაუხარდა და გალიის კარი გააღო.

– დეიდა ნუცა, დეიდა ნუცა! – შეშფოთებით იყვირა დიტომ.

აივანზე ახალგაზრდა ქალი გამოვიდა.

– დეიდა ნუცა, ანა ჩიტს უშვებს.

ქალმა გოგონა დატუქსა, გალიის კარი ჩაკეტა და ანა შინ შეიყვანა.

– მაბეზლარა, მაბეზლარა! – ამის თქმადა მოახერხა ნიკამ.

დიტომ, ცოტა არ იყოს, დაირცხვინა, მერე კი ბიჭს შეუტია:

– რა გაყვირებს, ხომ არ გააფრინე?! შეიძლება მთვარემ მზე კი არ გადაყლაპოს, არამედ გემრიელად ჩაახრამუნოს და მზე ველარასოდეს ამოვა.


ნიკა დიტოსკენ გაექანა და პანია მუშტები დაუშინა. დიტომ ბიჭი ხელის კვრით მოიცილა. ნიკა უკან გადაქანდა და ასფალტზე ზურგით დაეცა. მერე წამოჯდა, ჩამავალ მზეს ახედა და ცრემლი წასკდა.

– რა იყო, რა გატირებს, ვაჟკაცი არა ხარ? ძირს დაცემაზე ასე უნდა იტირო? მოდი, შევრიგდეთ, – დიტო ბიჭთან მივიდა.

– მამამ მითხრა, დედა მზესთან გაფრინდა და იმიტომ არის მზე ასეთი თბილიო. როცა მზე თვალეში გიჭყიტინებს, დედა გიცინის, როცა დაგცხება, დედა გეფერება და გულში გიკრავსო.

დიტომ ნიკას თავზე ხელი გადაუსვა.

ძალიან უნდოდა, რალაც თბილი ეთქვა, მაგრამ უხმოდ გასცილდა, რადგან გრძნობდა, თვალზე მომდგარ ცრემლს ველარ შეიკავებდა.



მხატვარი  
ვაჟა ქურხული



# ვედრება ზღაპარში მოხვედრაზე

მომენყურა თამაში,  
გამიხსენა ჯიშმა –  
გადამაგდეთ ზღაპარში,  
ალარც გამომიშვათ.

ბარტყის მიყვარს ყელოპინი  
და კრუტუნი კატის...  
ზღაპარი სხვა რამეა,  
იქ დრო სულ არ გადის.

ვიცნობ ტყისპირს, კუნელი  
ეფოფრება ასკილს...  
ზღაპრის – საყვარელია –  
თვითონ მელიაც კი.

გამოხტება,  
აგლოკავს,  
კუდეციინა ცუგა –  
შავად ბზინავს, გულ-მკერდი  
ფუმფულა თოვლს უგავს.

ნაბლთან ერთად კაკალიც  
ცვივა პანტაპუნტით...  
კუდში მისდევს შვლის ნუკრებს  
ბაჭიების გუნდი.

დაგცხება და ვეება  
ქოლგას გაშლის სოკო...  
წყაროც მოჩქეფს, წყურვილი  
მყის რომ დაიოკო.

ფრთხილებენ ხობბები,  
მზის წინკლები ფარავთ;  
ციყვი ფიჭვის ტოტებზე  
დახტის წარამარა.

ლეღვი ეკვრის ბრონეულს,  
ყველაფერი ლალობს;  
ვაშლი, უკვდავებისა,  
გინვდის ოქროს ნაყოფს.

მოაქვთ ხვავი, ბარაქა  
ჩორჩილა ურმებს...  
ინატრე და გაჩნდება,  
რასაც მოისურვებ.

სადარია სამოთხის,  
უკეთესს რას ელი!..  
ფარფატებენ პეპლები –  
ყვავილებზეც ჭრელი.

ჭიამაიასთანა  
ვის აცვია კაბა...  
არაფერი მინახავს,  
გაუტოლდეს ზღაპარს.

ბრწყინავს, დახატულია –  
სახლი, კარი, ეზო...  
დაივლი და შესძახებ –  
ვხედავ სამოთხესო.

გადაბამს ორ ნაპირს –  
ხიდია თუ დირე;  
რაც გითხარით, ახდება,  
განა ავიხირო.





ბივი ჩიქვინაძე

## სხივი და კესანე

წვიმიან ღრუბელს ვეფარე  
მძიმეს და წვიმისფერსავე,  
ავდექი, გამოვეპარე,  
შენთან მოვედი, კესანე.  
მე მზის სხივი ვარ, სხივები  
ყველგან სიკეთეს თესავენ,  
ცაზე გავაბი სიმები,  
შენ რაღას შვრები, კესანე?  
ენძელა – იის დაიკო,  
მეფერა, მეალერსა მე,  
შენ კი რა მოგდის, რა იყო,  
რატომღა არ მომესალმე?  
ნუ დარდობ, ღრუბლების ფარას  
ცაზე ქარები მწყემსავენ,  
ქარისგან მე დაგიფარავ,  
ნუ გეშინია, კესანე.  
ჩემი ძმობილი სხივები  
შორს ცისარტყელას კემსავენ,  
გაქრება წვიმის მძივები,  
მათაც სხივები შესვამენ.  
გამოიდარებს სულ მალე –  
ხვალე კი არა, დღესავე,  
შენც ნულარა ხარ მდუმარე,  
ჩემო ლურჯთვალა კესანე.

მხატვარი  
მალხაზ კუსაშვილი

## ორი ია

უკვირს პანანინა იას,  
მცენარეს რომ ია ჰქვია...  
ამბობს: – სად მე, სად ყვავილი?  
თუმცა ესეც ლამაზია...

გადაუსვა ნაზად ხელი,  
მოეფერა, მერე ეს თქვა:  
– ჰო... უხდება ეს სახელი,  
მეც მერქვას და მასაც ერქვას...



# ხეჩეოტი, ჩოქოლსას ასჩოხის უჩიქოლა

იყო ერთი ბეჭემოტი, რომელსაც ძალიან ეშინოდა აცრების. ის მუდამ აცრებზე ფიქრობდა: პარკში, კინოში, უფრო ხშირად კი აუზში, სადაც ყველაზე კარგად შეიძლებოდა ფიქრი. წყალში ჩანოლილი საკუთარ თავს ეკითხებოდა: „ხვალვე რომ დაიწყონ აცრების კეთება? უნდა ვიკითხო, იქნებ, ამის შესახებ ვინმემ რამე იცოდეს“.

– შემთხვევით, ხომ არ იცით, როდიდან იწყებენ აცრების გაკეთებას? – ეკითხებოდა ნიანგებს, ბატებს, ვასაკებს\* და ვარხვს.

– როცა დაიწყებენ, მაშინ დაიწყებენ, – ხმამაღლა პასუხობდნენ ნიანგები და წყალში უზარმაზარ ყვითელ ბურთს ისროდნენ, რომლისგანაც ყველა მიმართულებით შხეფები ცვიოდა.

– მაგაზე ნუ ფიქრობ, – ყვიროდნენ ვასაკები. – დიდი ამბავიც ეგ აცრებია... – და თითქოს არაფერიო, სანაპიროზე გრამოფონის ფირფიტებს ატრიალებდნენ მხიარული სიმღერებით.

– ტყუილია, თითქოს აქ განსაკუთრებული არაფერი იყოს. აცრები ძალიან მნიშვნელოვანია! – თქვა ვარხვმა, მაგრამ მისი ხმა არავის გაუგონია, რადგანაც გრამოფონი ძალიან ხმამაღლა უკრავდა.

„ასე როგორ შეიძლება?“ – გაიფიქრა ბეჭემოთმა. – „აცრებზე არავინ ფიქრობს. უბრალოდ, არ იციან, რომ აცრების დროს ნემსს გიკეთებენ“.

ის აცრებზე ფიქრს განაგრძობდა და მთლად ოფლად იღვრებოდა.

და აი, ერთხელ, როდესაც შიშისგან ისევ გაოფლიანდა, საფოსტო ღია ბარათი მოუვიდა. იმ ბარათში კი ეწერა: „გამოცხადდით აცრებზე“.

ბეჭემოტი შიშისგან ისე აცახცახდა, რომ ქუჩაში ტრამვაის მოძრაობა შეჩერდა.

– რა მოხდა? – დაიყვირეს ჟირაფებმა და ზებრებმა, მათთან ერთად კი კენგურუმ და ფლამინგომ, რადგან ზუსტად იმ დროს ყველანი ტრამვავით პოლიკლინიკაში მიდიოდ-





ნენ აცრების გასაკეთებლად.

– განსაკუთრებული არაფერია, – დაამშვიდა ვაგონის გამცილებელმა. – ამბობენ, ბეჭემოს აცრების შეეშინდაო. გზას ახლავე განვაგრძობთ.

ყველანი პოლიკლინიკაში მივიდნენ, რიგში ჩადგნენ და ლოდინი დაიწყეს. ვასაკებს შემთხვევით აღმოაჩნდათ გრამოფონი და ფირფიტები მხიარული სიმღერებით. ასე რომ, ნახევარმა საათმა შეუმჩნევლად გაირბინა.

– რალაც, ბეჭემოთი არ მოდის, უნდა მივაკითხო, – თქვა ვარხვმა და ბეჭემოთთან წავიდა.

თუმცა ბეჭემოთი მაშინვე ვერ იპოვა, რადგანაც ის ფარდის უკან დამალულიყო და ისე კანკალებდა, რომ კარადაში ჭიქები წკრიალებდა.

– ასეთი სულელი ნუ ხარ, წამომყევი! – უთხრა ვარხვმა. – აცრას ისე გაგიკეთებენ, რომ არაფერი მოგივა. ოდნავ გიჩხვლეტენ, ასეთ ჩხვლეტას პანია ბაჭიებიც კი ადვილად უძლებენ. თუ არ წამოხვალ, ყველა დაგცინებს.

– კარგი, – უპასუხა ბეჭემოთმა. – მაგრამ, როცა მიჩხვლეტენ, ჩემი ხელი მაგრად გეჭიროს.

– კარგი, ხელს მოგკიდებ, – დაჰპირდა ვარხვი.

და გზას გაუდგნენ. სანამ მივიდოდნენ, წინ შემოხვდნენ: ქათმები, სპილოები, სულ პანია ბაჭიები და ყველანი ეუბნებოდნენ, რომ აცრებში განსაკუთრებული არაფერია, ცოტა შეგელიტინება, მაგრამ ამის ატანა მშვიდად შეიძლება, ასე რომ, საშიში არაფერია.

„ამათთვის ახლა ადვილი სათქმელია, – ფიქრობდა თავისთვის ბეჭემოთი. – აცრები უკვე გაიკეთეს და აბა, მე მკითხონ?“

ის ოფლისგან მთლად დასველებულიყო.

– თქვენ მთლიანად გაოფლილხართ, – უთხრა ბატონმა ექიმმა, როდესაც ბეჭემოთის რიგი დადგა.

– გაოფლიანება ძალიან უყვარს, ასეთი გატაცება აქვს, – უპასუხა ვარხვმა, რომელსაც ამ დროს ბეჭემოთის ხელი ეჭირა. – ვილაცას პინგ-პონგი უყვარს, ვილაცას კი გაოფლიანება.

– ჰო, – უპასუხა ბატონმა ექიმმა. – მე კი მეგონა, რომ ეშინოდა.

– რას ბრძანებთ, – უთხრა ვარხვმა, – ასეთ უზარმაზარ ცხოველს წარმოდგენაც კი არა აქვს, შიში რა არის.

– მაშინ დავიწყოთ, – თქვა ბატონმა ექიმმა და შპრიცი მოიმარჯვა.

შპრიცის დანახვაზე ბეჭემოთი ცარცივით გათეთრდა.

– რა მოხდა? – იკითხა ბატონმა ექიმმა. – ეს ბეჭემოთი თეთრი რატომ არის? ის რუხი უნდა იყოს. თეთრები შეიძლება იყვნენ თავგები, მაგრამ არა ბეჭემოთი.

– ეს უჩვეულო ბეჭემოთია, – უთხრა ვარხვმა. – უბრალოდ, ეს თეთრი ბეჭემოთია და ის ერთადერთია.

– მაგრამ ერთი წუთის წინ ხომ რუხი იყო?

– ჰო. – უპასუხა ვარხვმა. – ის ხან რუხია, ხან კი თეთრი და ამითია უჩვეულო.

– კარგი, – თქვა ბატონმა ექიმმა. – რადგანაც ასეთი უჩვეულო ბეჭემოთია, შევეცდები, ნემსი უფრო გულდასმით გავუკეთო.

და თვალღერება დაუნყო თუ სად გაეკეთებინა ბეჭემოთისთვის ნემსი.

„აი, ზუსტად ახლა მეტკინება“, – გაიფიქრა ბეჭემოთმა და თვალეები დახუჭა.

– ეს არ გამოდგება, – თქვა ბატონმა ექიმმა, როცა ბეჭემოთის ზურგი დაათვალიერა. – აქ ძალიან სქელი კანია. სხვაგან ცვადოთ.

ბევრი ეძება, მაგრამ ბეჭემოს თხელი კანი ვერსად უპოვა.

– ვერაფერს ვიზამთ, – თქვა ბოლოს ბატონმა ექიმმა. – კანი ყველგან ბეჭემოთით სქელი გაქვთ; ასე, შეიძლება, ნემსიც კი გავტეხოთ. თქვენთვის ნემსის გაკეთებას ვერ შევძლებ, ხომ არ გენყინებათ?

ბეჭემოთმა თვალეები ჭყიტა, სწრაფად დაახამხამა და უცებ კაბინეტში ცეკვა დაიწყო, თან დაიყვირა:

– რატომ უნდა მენყინოს? არაფერიც არ მომხდარა. ნახვამდის! – მერე პოლიკლინიდან გაიქცა და პირდაპირ აუზთან მიირბინა. იცინოდა და ყველა მიმართულებით წყალს აშხეფებდა. ვასაკებმა დაუყვირეს კიდეც, შენი გადამკიდე, გრამოფონის ხმა აღარ გვესმისო.

და აი, წარმოიდგინეთ, ერთ მშვენიერ დღეს ბეჭემოს გამოელვიდა, სარკეში ჩაიხედა და დაინახა, რომ სულ მთლად გაყვირებულიყო.

– რა ხდება? სულ რომ გავთეთრებულიყავი, იმის ბრალი იქნებოდა, რომ რალაცის მე-



შინია, მაგრამ ყვითელი რატომ ვარ? ვინმეს უნდა ვკითხო, რა ხდება?

და აუზისკენ გასწავს.

ცხოველებმა, როგორც კი ბეჭემოთს მოჰკრეს თვალი, მაშინვე ერთი ალიაქოთი ატეხეს: ყვითელი ბეჭემოთი! ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა! ყველანი ათვალიერებდნენ და ეკითხებოდნენ, ასეთი ლამაზი საღებავი სად იშოვნო.

– ალბათ, ეს საღებავი კი არა, ლაქია, – თქვა ნიანგმა. – ჩვენი ბურთი, რომლითაც წყალში ვთამაშობთ, ზუსტად ასე ბრწყინავს.

– მგონი, ეს მზისგან დამცავი კრემი უნდა იყოს, – აყიყინდნენ ვასაკები.

მხოლოდ ბატები იდგნენ ყოყორად; მათ ფრთები ჩაიქნიეს და ყველას აგრძნობინეს, რომ ეს მათთვის გავლილი ეტაპი იყო, რადგანაც ჯერ კიდევ ჭუკობის დროს იყვნენ ასეთი ფერის.

– რა სულელები ხართ, ბატებო, – წამოიძახა ვარხვმა. – აქ არანაირი მსგავსება არ არსებობს. როგორც ჩანს, ეს რალაც დაავადებაა.

როგორც კი ამას მიხვდა, ვარხვმა მაშინვე ტანი პირსახოცით გაიმშრალა და პოლიკლინიკაში წავიდა.

– იცით თუ არა, რომ ბეჭემოთი მოულოდნელად სულ გაყვითლდა? – უთხრა ბატონ ექიმს.

– სრულიად შესაძლებელია, – უპასუხა ექიმმა. – ეს ხომ უჩვეულო ბეჭემოთია – ის ხან რუხია, ხან თეთრი, ცოტა ხნით რატომ არ უნდა იყოს ყვითელი?

– არანაირი უჩვეულო ბეჭემოთი არ არის, – უპასუხა ვარხვმა. – ეს ყველაფერი სისულელეა. თეთრი იმიტომ იყო, რომ აცრისა ეშინოდა.

– აი, თურმე რა ყოფილა, – წამოიძახა ბატონმა ექიმმა. – ესე იგი, ეს ჩვეულებრივი ბეჭემოთია, რომელიც არ აცრეს. და რადგანაც არ აცრეს, სიყვითლე შეეყარა. და რადგანაც სიყვითლე ძალიან სერიოზული დაავადებაა, სასწრაფოდ ლოგინში უნდა ჩავანვინოთ.

ასე აღმოჩნდა ჩვენი ბეჭემოთი საწოლში. მისთვის ბანაობა დასრულდა და დაიწყო მწარე აბების სმა, გვერდით კი ექთანს ეჯდა და სიცხეს უზომავდა.


– რა საშინელებაა ასე წოლა, როცა აუზში ყველანი ბურთს თამაშობენ და მხიარულ სიმღერებს უსმენენ! – წუნუნებდა ბეჭემოთი. – დაიკო, იქნებ, ზღაპარს მომიყვებ?

ექთანს ბეჭემოთი შეეცოდა და მოყოლა დაიწყო:

– იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბეჭემოთი, რომელსაც ძალიან ეშინოდა აცრების...

თარგმნა **გიორგი კაკაბაძე**

## მხატვარი გიორგი მაღრაძე





# ზღარბუნა და ბაჭია



მხატვარი  
ნათია არსენიშვილი

ერთხელ ზღარბი ზღარბუნა  
 ბაზრობაზე წავიდა.  
 ბაჭიასთვის შეიძინა  
 სკამები და მაგიდა.  
 – რა კეთილი ზღარბუნა ხარ, –  
 გაიხარა ბაჭიამ, –  
 მაგრამ გამოგიტყდები,  
 სახლი არ გამაჩნია.  
 – აბა, სად იძინებო? –  
 გაიკვირვა ზღარბუნამ.  
 – ძილისათვის ბუნებამ  
 ბუჩქის ძირი მარგუნა.  
 – ჰოდა, სახლიც გქონია,  
 დავდგათ ბუჩქის ძირასო,  
 სადაც სუფთა ჰაერზე  
 ყურდაცქვეტილს გძინავსო.  
 სხედან ჩრდილში მაგიდასთან  
 ზღარბუნა და ბაჭია,  
 რძიან ყავას მიირთმევენ  
 ყოველ დილაადრიან.

## გული სალუქვაქი

# გაჟოტუნები

როცა წვიმს და ქარია,  
 იგი ჩვენი ფარია,  
 თვითონაც უხარია,  
 თავზე რომ გვაფარია  
 (.....)

საღამო ხანს, როცა დაღლილს  
 მოგერევა ძლიერ ძილი,  
 გელოდება მეგობარი  
 ფუმფულა და გაბერილი  
 (.....)

მინდვრის დედოფალი  
 ოქროსფერი თვალით,  
 თეთრი წამწამებით,  
 მწვანე ნაწნავეებით.  
 (.....)

მაღალ კლდიდან გადმოვარდნილს  
 აქვს ქათქათა თეთრი ფერი,  
 დღე და ღამე ქუხს და მღერის:  
 – ჰერი-ჰერი, ჰერი-ჰერი!  
 (.....)



# ჩვეულება ჩქურზე უბტკოცესია

გაზაფხულდა. ბუნებამ გამოიღვიძა და გარემო დედოფალივით მორთო. მწერებმაც განდევნეს ძილი და არემარეს მოედვენ. აფუსფუსდნენ ჭიანჭველები, აბზუილდნენ ფუტკრები და ბუზები, აფარფატდნენ პეპლები, აროხროხდნენ ხოჭოები და აჭრიჭინდნენ ჭრიჭინები.

ნაგვის ბუნკერს ბუზები შესეოდნენ და ნარჩენებს შეექცეოდნენ. მათ შორის ერთი წკნაპა გახლდათ, რომელსაც პეპლების სილამაზის შურდა – მასაც უნდოდა, ლამაზი ფრთები ჰქონოდა და ცაში ეფარფატა.

ერთხელაც სასწაული მოხდა და ბუზ წკნაპას კეთილი ფერია გამოეცხადა:

– წკნაპა, გავიგე, პეპლობა გდომებია, – გაღიმებულმა უთხრა.

– დიახ, – დაეთანხმა ბუზი.

– მე შემიძლია, პეპლად გადაგაქციო, მაგრამ ერთი პირობით...

– ყველაფერზე თანახმა ვარ, – წკნაპამ ფერიას სიტყვა გაანყვეტინა. – ოღონდაც ყველაზე ლამაზი ფრთები უნდა მქონდეს.

– კარგი, – უთხრა ფერიამ. – პირობა ასეთია: ნაგავში ქექვა უნდა დაივიწყო, ამიერიდან შენი საკვები ყვავილის ნექტარი იქნება და თუ გაბედავ და ბუნკერს მიეკარები, იმწამსვე ისევ ბუზად გადაიქცევი.

– სულ არ მინდა ბუნკერი, ამ სიმყრალეზე ჯდომა მომბეზრდა, – სახე დაემანჭა ბუზს.

– მაშინ აფრინდი და პეპლის ფრთები გამოგესხმება, – უთხრა ფერიამ და გაქრა.

წკნაპა აფრინდა, იგრძნო, როგორ ამსუბუქდა, ფრთებზე დაიხედა და სიხარულისგან შეჰკივლა – ისეთი, ისეთი ლამაზი და დიდრონი ფრთები გამოსხმოდა, რომ ირგვლივ ყველა პეპელა გაოცებული შეჰყურებდა.

– მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ვარ! –



ბავშვთა



შემოქმედება

სკორა-რიცყამ  
„შიომეთეს“  
მოსწავრეები

სანდრო ალავიძე  
10 წლის



მარიამ სვედელიძე  
8 წლის



სხვა მწერები ყვავილის გულიდან გაყარა და ნექტარს დაენაფა. როდესაც ტკბილი წვენი დააგემოვნა, შეიმშუმნა, არ ესიამოვნა, – ბუნკერი ჯობს, – ჩუმად ჩაილაპარაკა, მაგრამ პირობა კარგად ახსოვდა და მცენარის ტკბილ წვენს სხვების დასანახად ხარბად შეექცეოდა.

პეპლად ქცეული ბუზი სარგებლობდა თავისი სილამაზით და ყვავილიდან ყვავილზე დაფარფატებდა. ეს სხვის დასანახად, თორემ მშობლიური ბუნკერი ყველაფერს ერჩივნა.

რამდენიმე დღე გაძლო, შემდეგ ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადანყვიტა: ღამით, როდესაც

ყველას ეძინებოდა, სადმე მოენახა ნაგავი და მისი სურნელებით დამტკბარიყო. ჩამობნელდა თუ არა, მწერებმა თავიანთ ბუდეებს მიაშურეს. წვანამ გაიხედ-გამოიხედა და ხის ქვეშ ბუნკერში ჩაძვრა.

ჩვენი წვანა უცებ ბუზად გადაიქცა. მეორე დღით სამწერეთი ტყუილად ეძებდა ულამაზეს პეპელას, მაგრამ ან სად იპოვიდა? ეჰ, ჩემო პატარა მკითხველო, მე და შენ ვიცით, რაც მოხდა: ვერ შეირგო ბუზმა პეპლობა. ტყუილად არ არის ნათქვამი – ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.



**მხატვარი  
მარიამ სუპატაშვილი**



**თეკლა ზარქუა  
10 წლის**

**გიორგი ლომიკა  
9 წლის**



**საბა სოფია  
9 წლის**



## ყველაზე თბილი სიტყვა

არ ეძინება ჯუნგლებში ბოკვერს,  
 დედიკო ვეფხვი ულოკავს ლოყებს:  
 – თვალი დახუჭე, ნუ გაქვს ღიაო,  
 ჩემო ფუმფულა ფისუნიაო.  
 არ ეძინება პატარა კნუტსაც,  
 მაგრამ დედიკო სულაც არ ტუქსავს.  
 შვილს ცხვირზე ცხვირით მოუთათუნებს,  
 თან დაუკოცნის ციდა თათუნებს:  
 – რატომ არ ხუჭავ ლამაზ თვალებსო,  
 ჩემო ბოკვერო, უსაყვარლესო.

ყველა დედიკო ამ ორ დედას ჰგავს:  
 ვერ იძინებენ თუკი შვილები,  
 არწვენ და თან  
 ეფერებიან  
 ქვეყნად ყველაზე თბილი სიტყვებით.

*თარგმნა ლელა ცუცქირიძემ*



## ღამის ცხენი

ჩემს ბინაში ცხოვრობს ცხენი –  
 რა კარგია!  
 ვერც გამოვთქვამ ამას ენით:  
 ხან აჭამო,  
 ხან ვარცხნო,  
 არც მათრახი გადასცხო.  
 ილღიაში ამოჩრილი გყავდეს ცხენი, –  
 შენი! შენი!  
 და სანოლშიც ჩაინვინო,  
 შენთან ერთად დაიძინოს.  
 ძილში რბილად მიეჯახო,  
 ნამოხტე და კარგად ნახო –  
 – სძინავს?  
 – ხომ არ გააღვიძე?  
 ყურს უგდებდე, თვლებმდე, თვლებმდე...  
 გესმოდეს, შორს ჭენებით  
 რომ მიჰქრიან ცხენები.

\*\*\*

– ცელქო ცხვარო, ცხვრის შვილო,  
 თხუპნიავ, რით გიშველო?  
 ჭუჭყიანი ნვები, გაგჩეჩია თმები.  
 – ხვალე დამბანს დილის ცვარი.  
 და გავხდები  
 სუფთა ცხვარი!

*თარგმნა მარიამ წიკლაურმა*



მხატვარი  
კისო ფრანგიშვილი



## წყნახი საათი

ჩაის კოვზი პანანინა,  
დიდი კოვზი სადილის  
კოვზი, ჩამჩას რომ ვეძახით,  
რიგში ჩადგნენ ამ დილით.

აი ასე, დაენყვინენ და  
სასეირნოდ მიდიან –  
მაქმანიან სუფრის ირგვლივ  
მოედანი დიღია.

ჩაის კოვზი ახტა-დახტა  
და ფინჯანში მკვირცხლად ჩახტა,  
დიდმა კოვზმა ფაფის თეფშში  
მოადინა ტყაპანი,  
ჰოდა, ჩამჩაც ვერ გადარჩა –  
სუპით სავსე  
ქვაბში ჩახტა ერთ წამში.

ჩაის კოვზმა, დიდმა კოვზმა,  
ჩამჩამ, რალა თქმა უნდა,  
როცა მორჩნენ სადილობას –  
როგორც წესი და პირობა –  
დაიბანეს პირი, ხელი  
ბუფეტისკენ – ჰერი-ჰერი! –  
დანვნენ დასაძინებლად.

სუფრაზე კი ლაქა დარჩა,  
დაისვარა თეთრი ფარჩა –  
ლაქა – ჩაის  
ლაქა – ფაფის,  
ერთიც – ლაქა წვნიანის.  
კოვზებს რულიც არ ადგებათ  
დარდი ანევთ ზიარი,  
ბუფეტიდან ისმის ხმები  
სევდიანი წკრიალის.

*თარგმნა ირმა მალაცვიძემ*




რუსი საბავშვო მწერალი და  
მთარგმნელი მიხეილ იასნოვი  
1946 წელს დაიბადა ლენინგრადში  
(დღევანდელ სანკტ-პეტერბურგში).

მისი ლექსები თარგმნილია  
ფრანგულ, ინგლისურ, პოლონურ,  
ესტონურ, რუმინულ... ენებზე. იგი  
თავადაც თარგმნის უცხო ენებიდან,  
ძირითადად – ფრანგულიდან.  
თარგმნილი აქვს ქართველი საბავშვო  
ავტორების ლექსები და მოთხრობები.  
ამჯერად „დილა“ ქართველი  
საბავშვო ავტორების მიერ  
თარგმნილ იასნოვის მხიარულ  
ლექსებს გთავაზობთ.



## ახ გაფანტა გულისყუხი!

ერთხელ ბულდოგს, გზად მიმავალს,  
ცალი ფეხი მოექავა,  
არ გაფანტა გულისყური –  
მოიქავა  
ფეხი  
ყურით!



## გამაჩჯობა, კუდქიცინავ!

– გამარჯობა, კუდქიცინავ,  
თავს როგორ გრძნობთ, მაცოდინა?  
– გაგიმარჯოს, ნუნკო დრუნჩო,  
არ მიკბინოს, მაგ დრუნჩს უჯობს!..  
ასე ბჭობდა ლეკვი კუდთან –  
ვერ იჭერდა, თუმცა სურდა!

*თარგმნა რობერტ მესხმა*







# ფერია დილანა და მეგობრები

(გაგრძელება. დასაწყისი „დილა“ №1-4)

ოოჰ, რომ იცოდეთ, როგორ ეშინოდა ბაჭი-  
ას დღევანდელი ღამის... მშვენივრად იცო-  
და, კაჭკაჭი ყველაფერს კაკალ-კაკალ ჩამო-  
არაკრავებდა. ამიტომ, როგორც კი ცამდის  
ანვდილი კოცონი გაჩაღდა, ვერცხლისფერ  
ღრუბელზე შემოსკუპებული დილანას გა-  
მოჩენამდე ბაჭიამ ენაჭარტალას გულის მო-  
გება ცადა.

– კააჭოო, კაჭკაჭოო... დღეს რა კარგად  
გამოიყურები, მთელ ტყეში ყველაზე ლამა-  
ზო, თამამად შემოიძლია, ასე მოგმართო.

– ენა რამ დაგიტკბო, სტაფილოს მურაბა  
ხომ არ ჭამე? – კაჭკაჭმა მარჯვენა წარბი  
ანია და ყურებანკეპილ ბაჭიას გამომცდე-  
ლად გახედა.

– რისი ბრალია, არ ვიცი, მაგრამ დღეს  
მართლა მელამაზები... მოიცა, იქნებ, მივხ-  
ვდე მაგ საიდუმლოს. ააა... უეჭველად ნი-  
სკარტი გაიპრიალე? არა, ბუმბული დაიბანე!  
აბა, რას იტყვი, შენს საიდუმლოს მივაგენი?

– თვალეში შესცივინებდა ბაჭია.

– ეს რა კარგი გამახსენე, თვეზე მეტია, იმას  
ვფიქრობ, ვის შევპირდი ზღაპრის მთავარ  
გმირად ქცევას. ამდენი ფიქრით, ღამის არის,  
გასკდეს ეს ლამაზი თავი.

– ლამაზი არა! – ჩაიქირქილა ბაჭიამ.

– მომესმა თუუუ... მითხარი რამე?

– კაჭკაჭმა გამომცდელი მზერა  
სტყორცნა ბაჭიას.

– ლამაზი ჩიტები არ ჭორაობენ, მა-  
გრამ, თუ შენსას არ იშლი, ჩემ გარდა  
სხვაზეც გეცოდინება რამე! – ბაჭი-  
ამ მუდარით სავსე თვალეში შეანათა  
კაჭკაჭს.

– ნება ჩემია, თქმას ვერ დამიშლი!  
ახლა კი, გზიდან ჩამომეცალე, დილანა  
უკვე მოსულა და კოცონთან მიმიშვი, –  
ისე უკმეხად მიუგო კაჭკაჭმა, ბაჭიამ  
უიმედოდ ჩამოყარა აქამდე ანკეპილი

ყურები და ლასლასით გაჰყვა უკან. კოცონს  
მიუახლოვდნენ თუ არა, კაჭკაჭი ალაპარაკ-  
და:

– ხომ გახსოვთ, შარშან, ზუსტად ამ დროს,  
ჩვენს სამზევეთის ტყეს ერთი ლაფისროლია  
რომ შემოეჩვია. ბევრს არაფერს აშავებდა,  
მხოლოდ ზარმაცებსა და თხუპნიებს ერჩო-  
და: – ამათ რალა ლაფის უნდა ეშინოდეთო?!  
– თავისთვის ჩაიცივინებდა ლაფის გუნდებს  
სულ ერთიმეორის მიყოლებით უშენდა.

თხუპნიებს თავიანთი მამხილებელი ისე  
ეჯავრებოდათ, გზაზე მის გადაყრას მში-  
ერ მგელთან შეხვედრა ერჩიათ. სხვა თუ  
არაფერი, მთელ ტყე-ღრეში ლაფდასხ-  
მულეები მაინც არ ვინანნალებთო. არადა,  
სიზარმაცეს რა ვუთხარი, თორემ თათების  
დაბანა და ლაფისროლიას გაქრობა ერთი  
იქნებოდა. ტახებისა და მათი გოჭების არ  
გამკვირვებია, მაგრამ...

ერთ მშვენიერ დღეს სიზარმაცემ ხელი ამ  
ჩვენს ნაცარასაც დარია. წრუნუნა დამემონ-  
მება, რომ მხარ-თეძოზე წამოკოტრიალებუ-  
ლი მთელ დღეს მთქნარებისა და სტაფილოს  
ხრაშუნის მეტს არაფერს აკეთებდა, თანაც,  
სტაფილოს ისე ახრამუნებდა, წარმოიდგ-  
ინეთ, თათებს არ იბანდა!





ჰოდა, მეტი რა უნდოდა ლაფის-როლიას? მყისვე იყნოსა სიზარმაცის სუნი, ჩირგვთან მიიპარა, ხეზე შემოხტა, ლაფის გუნდები მოიმარჯვა და რახან არსად ეჩქარებოდა, მოთმინებით დაუნყო ლოდინი, როდის ინებებდა ზარმაცი ბაჭია გარეთ გამობრძანებას.

ვინ იცის, როდემდე მოუნევდა ხის ტოტზე ჯდომა, ბაჭიას სახრამუნო რომ არ შემოლეოდა.

– ჯერ ბოსტნამდე რა მიმიყვანს, მერე სტაფილოს მიწიდან რა ამომალებინებს... ამას მირჩევნია, აგერ, ყურისძირში რომ თხუნელას ჯიხურია, იმასთან მივიდე და სტაფილოს ჩიფსების ხრამუნს დავჯერდე, – ამ ფიქრებით გამოიზღაზნა ბაჭია გარეთ.

ზღურბლს იქით თათის გადმოდგმა და... ლაფის გუნდების „წვიმაც“ დაიწყო. თავლაფდასხმული ბაჭია კარგი სანახავი ნამდვილად არ იყო. ყურის წვერიდან ფეხებამდე სულ ერთიანად გათხუპნილიყო. სადღა ახსოვდა სიზარმაცე, მაშინვე ჩირგვში შევარდა, მაგრამ, თითქოს ჯიბრზე, აბაზანაში წვეთი წყალი არ იყო. დიდი გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით მიაღწია მდინარემდე, მაგრამ გზაში ისეთი სირცხვილი ჭამა... ფრინველებისა და ცხოველების ხითხითს ვინლა ჩიოდა, ყურგრძელი ბაჭიებიც რომ დასცინოდნენ, გული ამაზე უფრო სწყდებოდა.

– დამაცადე, ლაფისროლიავ, გიჩვენებ სეირს! დღეის იქით თათებს ყოველთვის დავიბან და თითქოს არცყოფილხარ, ისე გაქრები, – გვიან ღამემდე ბუზღუნებდა ლაფში გასვრილი ქურქის ხეხვით დაქანცული ბაჭია.

– არადა, ყველას კოხტა და პრანჭია გვეგონა! – ნიშნის მოგებით გადააქნია კაჭკაჭმა თავი.

– ხომ გამოსწორდა? ნახე, როგორი ქათქათაა. ჰოდა, ნისკარტზე კლიტე დაიდე! – დილანამ კაჭკაჭს თვალი ჩაუკრა და ქუნქულა ბაჭია კალთაში ფრთხილად ჩაისვა.

**მხატვარი  
მარიამ ღვინიაშვილი**



**ლალი ჯაფარაშვილი**

## ბაყაყების კხება

ყიყინებენ ბაყაყები,  
მოიწვიეს დიდი კრება,  
– ამ ტბორში არ შემოცურონ  
ჭუკებმა და ჭუჭულებმა!  
ტბორის პირას გამოაკრეს  
ვეებერთელა ტრანსპარანტი.  
მხრებს იჩეჩავს დედა იხვი!  
მხრებს იჩეჩავს დედა ბატი!  
სარჩელს ადგენს იხვი ბებე,  
განიხილავს ბუ საჩივრებს,  
ტბორში თუ არ შეუშვებენ,  
სად ასწავლონ ცურვა შვილებს?!

**მხატვარი  
როინა შელავია**





# შამრისა და კხუხის წაკიდება

კრუხმა ამოსხა ბუდიდან  
სულ სამად-სამი წინილა,  
იქვე დაუხვდა მამალი  
იცით, რამდენი უყივლა?

– გამაგებინე, ამათთვის  
როგორ აცდენდი დღეებსო,  
თუ სამზე მეტი არ გქონდა,  
მე ვისესხებდი კვერცხებსო!

აქ არ დაიბნა დედალი,  
მამალს მიაგო პასუხი:  
– რაც ყელს ყიყლიყო ჩაიდგი,  
ერთი კვირაა გასული,


სწორედ მას აქეთ ყივილით  
აღარ აძინებ ეზოებს,  
ჰოდა, რა კვერცხი ეყოფა  
ბეჭნებს, გიებს და რეზოებს;

პასუხი იმათ მოჰკითხე,  
ათ კვერცხს რომ სვლეპენ უზმოზე,  
გიჯობს, ეგ შენი საყვირი  
გადააკეთო უზმოზე!




მხატვარი  
ნატალია კუცია

გამოიცანი, რომელია მამლის ჩრდილი?





# იმედიანი შემოქმედი



ქალბატონ დოდო ხიმშიაშვილ-ვადაჭკორიას, ჩვენს საყვარელ მწერალს, კვლავ საიუბილეო თარიღი მოსდგომია კარს.

მის ერთ მშვენიერ საბავშვო მოთხრობაზე მინდა მოგახსენოთ, რომელსაც „ერთი ბიჭის გადარჩენილი ქვეყანა“ ჰქვია. ამ მოთხრობის გმირს, პატარა ნიკუშას, უკვირს, როგორი პატარაა ორ ზღვას შუა მოქცეული მისი ქვეყანა, როგორ პანანუნა წერტილებით არის მონიშნული თბილისი და წავკისი ბურთზე – გლობუსზე. იგი იმედიანად ეკითხება დედას: – მე რომ გავიზრდები, საქართველოც გაიზრდებაო? დედა პასუხობს, კი, შენთან ერთად გაიზრდებაო. როცა ამ მოთხრობას ვკითხულობ, სულ მინდა წარმოვიდგინო, როგორ იზრდება ქვეყანა თავის მომავალთან ერთად; როგორ მალდება ჩემი საქართველო, როცა ჩვენი ახალგაზრდები წარმატებებს აღწევენ მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში, ისეთ წარმატებებს, რომელსაც მსოფლიო აღიარებს და გული სიხარულით მეცხება.

მაგრამ გამახსენდება, როგორ უმონყალოდ არის დაჩეხილი ჩემი მინა-წყალი, რამხელა ტერიტორიები ჩამოგვაჭრეს, წავგართვეს და ჯერჯერობით ვერაფერი გავგინყვია (ვერც ვერაფერს გავანყობთ, თუ მხოლოდ სხვის იმედზე ვიქნებით) და გული ტკივილით მეკუმშება. მაინც კი, ამ მოთხრობას რომ წავიკითხავ, იმედი იღვიძებს: სადაცაა, ვილაცის უმეცრებით დასვრილს, ნიკუშას ბურთივით, ჩემს ქვეყანასაც გამოიყვანენ ეკლებიდან და ტალახიდან ნიკუშა და მისი მეგობრები, ანკარა წყალს გადაავლებენ და სიხარულით შესძახებენ:

– საქართველო გადარჩა!

ბედნიერია მწერალი, თუ ასეთი იმედის გაღვიძება შეუძლია.

მე ასე ვფიქრობ, შენ?

# რეგუსები


თ100



მხატვარი  
ნატალია კუცია







ვაზის მტევანში ცხოვრობდა პანანინა, ცეროდენაზე პატარა ციცქნა-ბიჭი.




ნახატები ავტორისა



2. ერთხელ ციცქნას ვაზის ფოთოლზე კოჭლი ჭიანჭველა შეხვდა. ბიჭი ყურძნის ნვენით გაუმასპინძლდა.

3. სამაგიეროდ, ჭიანჭველამ უამბო: შორს, ძალიან შორს, ერთი საოცარი ქვეყანაა. იქაური ბიჭუნები და გოგონები სკოლაში დადიან და ფერადსურათებიანი წიგნებით სწავლობენო.



4. ციცქნას ძალიან უნდოდა, ენახა ის ბიჭუნები, გოგონები და ფერადსურათებიანი წიგნები.

5. ერთ მშვენიერ დღეს ციცქნა ბიჭი ვაზის ერთი ფოთლიდან მეორეზე გადასკუპდა, მეორედან – მესამეზე და გაუდგა გზას.



6. უცებ ქარმა დაუბერა და ციცქნა ბიჭი მოიტაცა. მიქრის ციცქნა ჰაერში, ქარი ხან საით გააქროლებს, ხან – საით.

7. უეცრად ბიჭუნა ობობა-ბუბას ქსელში გაება.






8. ობობა რბილ ქსელზე წამონო-ლილიყო და ძველი გაზეთის ნახევს კითხულობდა.

9. ბუბას პატარა ბიჭი ბუზი ეგონა და საკუჭნაოში ჩამწყვდევა დაუპირა. როცა დააკვირდა, გაოცდა: ეს რა ნამცეცა ბიჭიაო. მერე ციციქნამ აუხსნა, ვინც იყო და სადაც მიდიოდა.



10. ბუბამ იხმო ასი სხვა ობობა, ტყვე ბიჭუნა ქსელიდან გაათავისუფლეს და პანანინა პარაშუტიც დაუმზადეს.

11. – მამაშვილობამ, – უთხრა ბუბამ, – უკან დაბრუნებისას გაზეთები წამომიღე, თორემ ეს ნახევი უკვე ხუთასჯერ წავიკითხე.




12. ციციქნა უვნებლად დაეშვა დედამინაზე. საიდანღაც შოშია-შაშომ ჩამოიქროლა. ბიჭუნას ხალათში ნისკარტი ჩაავლო და ბუდისაკენ გააქროლა.

13. შაშო-შოშიას ეგონა, ეს პანანკინტელა ბიჭუნაც ზოგიერთი ბიჭივით აბეზარი იქნება, ბუდეების დაშლისა და შურდულის სროლის მეტი არაფერი ეცოდინებაო.



14. ციციქნა ბიჭი შოშიების სახლში ჩაკეტა და ხეზე ქაღალდი გამოაკრა. აი, რა ეწერა იმ ქაღალდზე:

15. სანყალი ციციქნა შოშიების სახლში იჯდა და იქიდან დაღონებული იცქირებოდა.







მოსე თოიძე (1871-1953)

მოსე თოიძე ქართული პროფესიული ფერწერისა და რეალისტური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი ნამუშევრები, შესრულებული 1910-იან 1920-იან წლებში, ქართული მოდერნიზმის მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია. ის

მუდმივად თანამშრომლობდა ბეჭდურ გამოცემებთან („ნაკადული“, „კვალი“ „ჯეჯილი“, „ფასკუნჯი“, „ცნობის ფურცელი“); თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი პირველი პროფესორი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ფერწერის ფაკულტეტს. მისი შემოქმედების გვიანი პერიოდის მთავარი მახასიათებელია სოცრეალისტური ტენდენცია. ამ დროს მკვეთრად შეიცვალა როგორც მხატვრის ხელწერა, ასევე ნამუშევრების თემატიკაც.

მხატვრის ვინაობის შესახებ არსებული ოფიციალური ვერსიით, მისი მშობლები, წარმოშობით გლეხები, თბილისის მოსახლეობის უღარიბეს ფენას ეკუთვნოდნენ. მხატვრის მამა, ივანე, მეურმე იყო, დედა კი, მაკა – დილმელი გლეხის ქალი.

სინამდვილეში, მოსე თოიძის დედა, მაკა თურქესტანიშვილი თბილისელი თავადის ასული გახლდათ. მისი მშობლები ქალიშვილის არჩევანს, გლეხს გაჰყოლოდა ცოლად, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ და ისიც იძულებული გახდა, სახლიდან წასულიყო. მშობლების ოჯახიდან წასულს საკუთარი წარმომავლობა აღარასოდეს უხსენებია,

მით უფრო, რომ ქვეყანაში რეჟიმი იცვლებოდა და თავად-აზნაურებს ისედაც აღარ წყალობდნენ.

ახალგაზრდა თავადის ქალი მალევე დაქვ-

რივდა – პატარა მოსე მხოლოდ ექვსი თვისა იყო, მამა, რომ გარდაეცვალა. ისედაც ღარიბ ოჯახს კიდევ უფრო გაუჭირდა. გამოსავალი არსაიდან ჩანდა. ალბათ, ვერასდროს წარმოდგენდა მაკა თურქესტანიშვილი, თავისი სიყრმისდროინდელი გატაცება ასე თუ წაადგებოდა: მას ბავშვობიდან ქარგვა ხიბლავდა, ცოტას ხატავდა კიდევ; უყვარდა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ეპიზოდების, შოთა რუსთაველისა და თამარის პორტრეტების შესრულება აბრეშუმის ნაქარგობით. ასეთ შემკულ ქსოვილებს მყიდველი და მსურველიც ბევრი გამოუჩნდა და ოჯახიც თანდათანობით წელში გაიმართა.

მალე ბავშვებიც წამოიზარდნენ. ყველა მათგანი რაღაც ხელობას ეუფლებოდა. ზეინკლობას სწავლობდა პატარა მოსე თოიძეც, თუმცა ხატვას არაფერი ერჩია. იცოდა, ამისი არც დრო იყო და არც საშუალება. ისე კი, ფიქრსა და ოცნებაში ხელს არავინ უშლიდა და ისიც ოცნებობდა ფერით გამოყვანილ ნატიფ ფორმებზე, ფანქრით შესრულებულ ლამაზ ორნამენტზე და კიდევ ვინ მოთვლის რამდენ რამეზე. მხატვრის შემოქმედებითი ბიოგრაფია მძიმე ცხოვრებისეულ სირთულეებთან მუდმივი ჭიდილის ფონზე ვითარდებოდა.

თოიძეების ოჯახი ერთი ხანობა ჩუღურეთში ცხოვრობდა. მათ გვერდით რუსის გენერალს ჰქონდა სახლი. ერთხელ ქუჩაში სეირნობისას პატარა მოსეს ყურადღება გენერლის ფანჯრებიდან გამომავალმა კაშკაშა სინათლის შუქმა მიიქცია – ოთახის სიღრმეში პატარა ბიჭუნა უფროსის მეთვალყურეობით რაღაცას ხატავდა. ამ სანახაობამ იმდენად გაიტაცა და დააინტერესა მოსე, რომ ვერც კი გაიგო, როგორ მიუახლოვდა გენერალი, როგორ სწავდა ქერში და ფანჯარას მოაშორა. ოთახში მყოფი მამაკაცი კი, რომელიც, სავარაუდოდ, ხატვის მასწავლებელი იყო, მოსეს ამგვარმა დაინტერესებამ იმდენად მოხიბლა, რომ ბავშვს უფლება მისცა, გაკვეთილს დასწრებო-





და. იქიდან მოყოლებული მოსე თოიძე გენერლის შვილთან ერთად მეცადინეობდა ფერმწერ ტერ-ასატუროვთან და თანაც სრულიად უსასყიდლოდ. ზეთის საღებავების ტექნიკაში მუშაობის სპეციფიკას მომავალი ხელოვანი პირველად სწორედ ამ გაკვეთილებზე ეზიარა.

17-18 წლის ასაკში ის უკვე აქტიურად თანამშრომლობდა იმხანად თბილისში არსებულ პერიოდულ გამოცემებთან. ამავე დროისაა ქართველი მწერლებისა და პოეტების პორტრეტების სერია, რომელიც თბილისში ლითოგრაფიების სახით ვრცელდებოდა და რამაც მხატვარს პირველი აღიარება მოუტანა. აღიარებას პასუხისმგებლობაც ახლდა თან და ახალგაზრდა ხელოვანი მალევე მიხვდა, რომ აკადემიური განათლების გარეშე ვერასდროს დახატავდა ისე, როგორც ეოცნებებოდა.

გადანყვეტილება მიიღო და სასწავლებლად პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკა-

დემიაში გაემგზავრა. ფერწერის კლასს, სადაც მოსე თოიძე სწავლობდა, ილია რეპინი უძღვებოდა. სწავლის ქირა მთლიანად დავით სარაჯიშვილმა დაფარა. რეპინს იმდენად მოსწონდა ნიჭიერი ახალგაზრდა და მისი კავკასიური გარეგნობა, რომ ის თავის ერთ-ერთ ცნობილ სურათში, „გეთსიმანიის ლამის შემდეგ“, ქრისტეს ფიგურისათვის ტიპაჟად გამოიყენა.

საინტერესო, ნაყოფიერი და მრავალფეროვანი აღმოჩნდა პეტერბურგში სწავლის წლები. საქართველოში დაბრუნების შემდგომ მოსე თოიძე უკვე დასრულებული ხელოვანის ამბულუაში წარსდგა ქართველი მათემატიკის ნინაშე. სურათი, რომელსაც მხატვარი ტექნიკური სირთულის გამო ვეღარ დახატავდა, აღარ არსებობდა – მხატვრისთვის ასეთი სიძნელეები საბოლოოდ აღმოიფხვრა. პატარა ბიჭუნას ოცნება, ამქვეყნად ყველაზე მეტად მხატვრობა რომ იზიდავდა, ასრულებულიყო.



## ლექსიკონი:

**მოდერნიზმი** – XX ს-ის დასაწყისის მხატვრული მიმდინარეობების ერთობლიობა.

**რეალიზმი** – XIX ს-ის მხატვრული მიმდინარეობა, რომლის მთავარი ამოცანა სინამდვილის მაქსიმალური გარეგნული სიზუსტით ასახვა იყო.

**კომპოზიცია** – სურათზე ფიგურების გადანაწილების თავისებურება.

**სოცრეალიზმი** – მხატვრული ტენდენცია, როდესაც რეალისტური გამოსახულება გამორჩეულად სოციალურ, ანუ ყოფით შინაარსშია გააზრებული.

**ლითოგრაფია** – ანაბეჭდი, რომელიც სპეციალურ ქვაზე დატანილი გამოსახულების ქალაღზე დაპრესვის შედეგად მიიღება.





ჟურნალ „დილას“ 2013 წელს მიენიჭა არამატერიალური  
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

მთავარი რედაქტორი: დოდო ნიკნოვაძე  
ნახატი ყდაზე: ვაჟა ქურსულიანი  
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77  
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: [dila1904@yahoo.com](mailto:dila1904@yahoo.com),  
facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა  
ფასი: 2.50 ლარი



ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა  
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.



საქართველოს კულტურისა  
და ძეგლთა დაცვის  
სამინისტრო